



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-30213305
თარიღი: 26/11/2021
პინი: 5379

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა შ.პ.ს „საქართველოს ფოსტის“ ქონების მართვისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსმა გივი კუბლაშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანias ქუჩის მიმდებარედ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, კერძოდ 27.06.51.006 საკადასტრო კოდზე არსებული 564 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ შ.პ.ს „საქართველოს ფოსტას“, მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, რისთვისაც სამსახურმა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და

ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 441.48 ლარიდან (დაახლოებით 80%-ის ოდენობით) განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა - 354 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, გიორგი ნაჭყებიაშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური



წერილის ნომერი: 08-302130942
თარიღი: 05/11/2021

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის
უფროსის გიორგი ნაჭყებიას
მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით, გადაცემის შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა შ.პ.ს საქართველოს ფოსტის ქონების მართვის და ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსმა გივი კუბლაშვილმა (კანც. N 10/302126723-30 24.09.2021 წელი) რომლითაც მოთხოვნილია, ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 122-ის მიმდებარედ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადაცემა, დროებითი თანამედროვე ტიპის ასაწყობი კონსტრუქციის მოსაწყობად.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა შ.პ.ს საქართველოს ფოსტას (ს/ნ 203836233) გადაეცეს იჯარის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით, ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N122-ის მიმდებარედ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.51.006) დროებითი თანამედროვე ტიპის ასაწყობი კონსტრუქციის მოსაწყობად.

6 კვ.მ. წლიური საიჯარო ფასის ოდენობა განისაზღვროს ფართის მთლიანი ღირებულების 441.60 ლარის - 80% -ის ოდენობით - 354 ლარით. გთხოვთ დაავალოთ

იურიდიულ სამსახურს შესაბამისი პროექტის მომზადება.

დანართი: 8(რვა) ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური



წერილის ნომერი: 08-302132941
თარიღი: 25/11/2021

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
იურიდიული სამსახური-იურიდიული სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული სამსახურის უფროსს
ბატონ შოთა ჩაგუნავას

2021 წლის 5 ნოემბრის N 08-302130942 მოხსენებითი ბარათთან დაკავშირებით დამატებით წარმოდგინდგენთ საკადასტრო აზომვით ნახაზს და ასევე გაცნობებთ რომ იჯარის ვადად განისაზღვროს 5 წლით.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყებია

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი

1597

მიწის ნაკვეთის/ზაზომბრივი ნაგებობის ადგილმდებარეობა/მიხამართი	ფართობი (კვ.მ.)	დანიშნულება
ქალაქის/თემის/სოფლის/ქუჩის	564	არასასოფლო-სამეურნეო

შენიშვნა ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა	განაშენიანების ფართობი (კვ.მ.)
----------------------------------	-------------	-------------	--------------	--------------------------------

უფლებრივი შეზღუდვის/დატვირთვის საზღვრების აღწერა	კალდებულების სახე	ფართობი (კვ.მ.)
	ოვარი	16
	ბუჩქი	6

ზაზომბრივი ნაგებობის ტიპი	ზაზომბრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე (მ)	ზაზომბრივი ნაგებობის გვერდითი სიგრძე (მ)	ზაზომბრივი ნაგებობის თანამდევნი წერტილოვანი ობიექტის ტიპი	ზაზომბრივი ნაგებობის თანამდევნი წერტილოვანი ობიექტის რაოდენობა
---------------------------	--	--	---	--

საზღვარი	მოსაზღვრის აღწერა
A---B	საზღვარი
B---C	გზა
C---D	საზღვარი
D---E	გზა
E---F	საზღვარი
F---G	საზღვარი
G---A	მეტი ფორმის/ფორმის

საკადასტრო აღწერის დამსწრე პირების სახელი გვარი	ხელმოწერა
მალხაზი წაქაძე (21001000149)	2.17
დანიშნულების მუნიციპალიტეტის მერია (ს/	

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი გვარი	მალხაზი წაქაძე
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	21001000149
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	ქალაქი თერჯოლა, შოთაძის ქუჩა №2 (+995 577) 38 46 40
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია	მაღალი სიზუსტის გეოდეზიური ხელსაწყო GPS-ის გამოყენებით; GeoCORS-ის გეოდეზიური სისტემის საშუალებით; რეალური დროის რეჟიმი (RTK) - დ.ა.ა

აზომვის შესრულების თარიღი:	10.11.2021
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა	მალხაზი წაქაძე
დაინტერესებული პირი	ქალაქის მერიის/მერიის
დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი	ს/კ 233730139
დაინტერესებული პირის ხელმოწერა	

* - საცდელ-აზომვითი სამუშაოების შესრულების დროს დაინტერესებული პირის გამოცხადებით შედეგად ვერ იქნა მოსაძებნი მოსაზღვრე ნაკვეთის მართლმსაჯულებრივი მფლობელის/მესაკუთრის სახელი, გვარი, პარალელ-ხაზები ან სხვა მათხატოვითი მონაცემი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2021 წლის ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, შპს „საქართველოს ფოსტას“ (ს/ნ 203836233) 5 წლის ვადით, გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში ჟორდანias ქუჩის მიმდებარედ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, კერძოდ 27.06.51.006 საკადასტრო კოდზე არსებული 564 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი).

მუხლი 2. სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 441.48 ლარის 80%-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს - 354 ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



POST 21 00027473

საქართველოს ფოსტა

21/09/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე

შპს „საქართველოს ფოსტა“ ფლობს სავაჭრო ჯიხურების ფართო ქსელს თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში, როგორც პრესის გავრცელების, აგრეთვე საფოსტო და კომერციული საქმიანობისათვის.

ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე სკვერში, შპს „საქართველოს ფოსტის“ სავაჭრო ჯიხურის განთავსების საკითხი შეთანხმებული იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან (წერილი თან ერთვის).

გთხოვთ, ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე სკვერში (ჟორდანიას ქ. N122-ის მიმდებარედ) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადმოცემის მიზნით (იჯარით გაცემა), სავაჭრო ჯიხურის განსათავსებლად, 5 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით გაგვიფორმოთ შესაბამისი ხელშეკრულება.

დანართი: საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ფოტომონტაჟი (ფოტომასალა)

პატივისცემით,

შ.პ.ს. საქართველოს ფოსტა / ქონების მართვისა და
ტრანსპორტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გივი კუბლაშვილი



მოსამართლი: ძ. ლანჩხუთი, შორლანის ქუჩა №122-ის მიმდებარეობა



საკადასტრო აბეზმპიტი/აზომპიტი ნახაზი

254700

254750

4663850

4663850

4663800

4663800



254700

3

6

12

18

24

254750

სახელმწიფო ეროვნული
საკოორდინაციო სისტემა

WGS 1984 UTM Zone 38N

მასშტაბი 1:500

Meters

მისამართი:	ქ. ღანსხუთი, კორდანიას ქუჩა №122-ის მიმდებარე ტერიტორია		ნაკვეთის ფართობი:	6 კვ.მ
დანიშნულება:	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე: მეტრი ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე: მეტრი ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი: რაოდენობა		
პირობითი აღნიშვნები ↔ ნაკვეთის ფიქსირებული საზღვარი --- ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი □ მიწისქვეშა შენობა ნაგებობა ▨ შენობა ნაგებობა ▨ შენობის ნომერი/სართულიანობა □ მშენებარე შენობა ნაგებობა □ დანგრეული შენობა ნაგებობა ▨ ელდებულება --- ხაზობრივი ნაგებობა ● ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტი ● წერტილი		შ.პ.ს. სააგენტო სერვის ცენტრი ტ.გ.მ. ქ. თბილისი, შირაკის ქუჩა SIRAKI STREET #11, T.G.M. საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი დაინტერესებული პირი თარიღი: 15.09.21 შენიშვნა: ნაკვეთის აღვლილმდებარეობა და ნაკვეთის საზღვრები მითითებულია დამკვეთის მიერ		



მიწის ნაკვეთის/ხაზობრივი ნაგებობის ადგილმდებარეობა/მისამართი	ფართობი(კვ.მ)	დანიშნულება
ქ. ლანსუთი, ურდანიას ქუჩა №122-ის მიმდ.ტერიტორია	6	არასასოფლოსამეურნეო

შენიშვნა-ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა

უფლებრივი შეზღუდვის/ დატვირთვის საზღვრების აღწერა	ვალდებულების სახე	ფართობი(კვ.მ)

ხაზობრივი ნაგებობის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე(მ)	ხაზობრივი ნაგებობის გვეგმარებითი სიგრძე (მ)	ხაზობრივი ნაგებობის თანამდგენი წერტილოვანი ობიექტის ტიპი	ხაზობრივი ნაგებობის თანამდგენი წერტილოვანი

საზღვარი	მოსაზღვრის ახწერა	საკადასტრო აღწერის დამსწრე პირების სახელი გვარი	ხელმოწერა
A-----B	27.06.51.006	რ. ნალბანდიშვილი	
B-----C	27.06.51.006		
C-----D	27.06.51.006		
D-----A	27.06.51.006		

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი გვარი	თ. ურეკოლიანი
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები	01011066256
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	ქ. თბილისი შირაქის ქ. №11 ტელ. 2746800
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია	ა. დ (სხვა მონაცემები)

აზომვის შესრულების თარიღი:	15.09.21
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა	თ. ურეკოლიანი



დაინტერესებული პირი	შპს "საქართველოს ფოსტა"
დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები	203836233
დაინტერესებული პირის ხელმოწერა	



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

2800 ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37

T 0 494 22 30 10

FAX: 0 494 22 30 13

№ 276

„3“ „26“ 2014 წ.

საქართველოს ფოსტის გენერალურ
დირექტორს ბატონ : ლევან ჩიკვაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ თქვენი წერილის (15/1-24.05.2014) თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი არ არის წინააღმდეგი კანონმდებლობის კველა მოთხოვნისა და ჩორმის დაცვით განათავსოთ სავაჭრო ჯიხური კორდანიას ქ.№122-ში მდებარე სკვერში.

პატივისცემით,

ვახტანგ სენაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

მოვალეობის შემსრულებელი

5914
05.06.14 წ.



004391018

ექსპერტის დასკვნა № 004391018

გატრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა:

თანამდებობა: მერი

მისამართი:

სახელი და გვარი: ალექსანდრე სარიშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

დავით ლორთქიფანიძე / დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.

ილია აბესაძე / დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გაცნობებით, რომ გვესაჭიროება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებულ N27.14.50.005, N27.14.45.261 და N27.14.45.024 საკადასტრო კოდეზზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობისა და ღირებულების შესახებ ექსპერტიზის დასკვნა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებულ N27.06.51.006 საკადასტრო კოდეზზე მდებარე მიწის ნაკვეთის ღირებულების შესახებ და N27.05.44.009 საკადასტრო კოდეზზე მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის ღირებულების შესახებ. N27.14.50.005, N27.14.45.261 და N27.14.45.024 საკადასტრო კოდეზზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრისას შენობა-ნაგებობის მდგომარეობა ჩაითვლება არადაშლად და მიზანშეწონილი იქნება მისი დემონტაჟი, გამომდინარე აქედან საჭირო გახდება თქვენს მიერ დემონტაჟის ხარჯებისა და დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალების ღირებულების განსაზღვრა.

ზემოვლის თარიღი: 02.04.2018წ.

გასვლის თარიღი: 26.06.2018წ

დასკვნა

1) ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებულ N27.14.50.005, N27.14.45.261 და N27.14.45.024 ნაკვეთებზე განლაგებული შენობა-ნაგებობები აკაროულ მდგომარეობაშია და ექვემდებარებიან დემონტაჟს. დემონტაჟის დანახარჯების გაანგარიშება მოცემულია დანართ N1-3-ში და დანართების მიხედვით შეადგენს 14679 ლარს, ხოლო დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 13698.46 ლარს (იხ. დანართები N1, N2, N3).

2) ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანია ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ს/კ N27.06.51.006) საბაზრო



004391018

ექსპერტის დასკვნა № 004391018

ღირებულება დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 41500 ლარს.

3) ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ N27.05.44.009) საბაზრო ღირებულება დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 85600 ლარს.

დავით ლორთქიფანიძე

ილია აბესაძე

გამოკვლევა

შესასებელი უძრავი ქონების იურიდიული მონაცემები

1) (2014 წლის 16 აპრილს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - №882014186941; ზონა ლანჩუთი - 27, სექტორი ნიგეზიანი - 14, კვარტალი - 50, ნაკვეთი - 005. ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 6500 კვმ. შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1 536,2 კვმ, N2 46 კვმ, N3 3,6 კვმ, N4 5,4 კვმ, N5 22 კვმ. მისამართი: მუნიციპალიტეტი ლანჩუთი, სოფელი ნიგეზიანი. მესაკუთრე - ლანჩუთის მუნიციპალიტეტი.

2) (2016 წლის 13 აპრილს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - №882016228914; ზონა ლანჩუთი - 27, სექტორი ნიგეზიანი - 14, კვარტალი - 45, ნაკვეთი - 261. ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 407 კვმ. შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1 - საერთო ფართობით 386,9 კვმ. მისამართი: მუნიციპალიტეტი ლანჩუთი, სოფელი ნიგეზიანი. მესაკუთრე - ლანჩუთის მუნიციპალიტეტი.

3) (2016 წლის 26 ივლისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - №882016467658; ზონა ლანჩუთი - 27, სექტორი შუხუთი - 05, კვარტალი - 46, ნაკვეთი - 024. ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 912 კვმ. შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1 - საერთო ფართობით 1053,3 კვმ. მისამართი: მუნიციპალიტეტი ლანჩუთი, სოფელი შუხუთი. მესაკუთრე - ლანჩუთის მუნიციპალიტეტი.

4) (2010 წლის 07 ივნისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - №882010636322; ზონა ლანჩუთი - 27, სექტორი ლანჩუთი - 06, კვარტალი - 51, ნაკვეთი - 006. ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 564 კვმ. მისამართი: ქალაქი ლანჩუთი, ქუჩა ჟორდანიას. მესაკუთრე - ლანჩუთის მუნიციპალიტეტი.

5) (2017 წლის 27 ივნისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი): განაცხადის რეგისტრაცია - №882017556697; ზონა ლანჩუთი - 27, სექტორი შუხუთი - 05, კვარტალი - 46, ნაკვეთი - 009. ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 1782 კვმ. შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1, N2. მისამართი: მუნიციპალიტეტი ლანჩუთი, სოფელი შუხუთი. მესაკუთრე - ლანჩუთის მუნიციპალიტეტი.

შესასებელი უძრავი ქონების აღწერა:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იქნა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N27.14.50.005, N27.14.45.261 და N27.14.45.024 საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. ექსპერტის მიერ მოხდა ჩათი ვიზუალური დათვალიერება და დასურათება (იხ. ფოტოილუსტრაცია), რის შედეგადაც დადგინდა რომ შენობა-ნაგებობები აგარილ მდგომარეობაშია და ექვემდებარებიან დემონტაჟს. მათი დემონტაჟის გასაანგარიშებლად შედგენილი იქნა ხარჯთაღრიცხვები რესურსული მეთოდით და თანახმადა N1-3 დანართებისა შეადგენს 14679 ლარს.

ექსპერტიზაზე ასევე წარმოდგენილი იქნა: 1) ქალაქ ლანჩუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე N27.06.51.006 საკადასტრო კოდეზით

სიტუაციური რუკა

შესაბამისი ობიექტი (ქალაქი ღანჩუთი, ქუჩა ჯორდანია, საკ. კოდი N27.06.51.006)

